ხელშეკრულება #GOG/ET/NCS/044-2019

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდ. აჭყვას კალაპოტების რეაბილიტაციის პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილის ექსპერტიზის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **04 აპრილი 2019 წ**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“;** ს.კ 206074193; მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 150 (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით

და მეორეს მხრივ **შპს „ოპტიმალ გრუპ +“;** ს.კ. 404911592; მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 17ა (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ნინა კარბელაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1. შემსყიდველმა 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდ. აჭყვას კალაპოტების რეაბილიტაციის პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილის ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი - CPV71319000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (NAT190004576) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 3300 (სამი ათას სამასი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება);

1.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა;

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის მენეჯერი ნოდარ კანდელაკი.

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

3.1. მიმწოდებელი ახდენს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდინარე აჭყვას კალაპოტების რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჰიდროლოგიური ნაწილის ექსპერტიზას და გასცემს შესაბამის დასკვნას;

3.2. მშენებლობის პროექტის შედგენის, ექსპერტიზის ჩატარების, განხილვისა და დამტკიცების ყველა მონაწილე (ფიზიკური და იურიდიული პირი) შესაბამისად პასუხს აგებს მის მიერ შედგენილი, დადებითად შეფასებული და დამტკიცებული პროექტის ხარისხსა და დასაბუთებულობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტი მდებარეობს ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე. არსებული პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს.

- წყალმიმღები ნაგებობის მარცხენა რკინაბეტონის კედლის მოწყობა l=48 მ.
- კოლექტორიზე #1 რკინაბეტონის მართკუთხა კვეთის არხის მოწყობა პარამეტრებით: B=11.8მ; h=3.55მ; l=1910მ.
- მდინარე აჭყვაზე რკინაბეტონის მართკუთხა კვეთის არხის მოწყობა პარამეტრებით: B=8.7 მ; h=2.6 მ; l=1900მ.
- გრუნტის არხის პროფილირება და ნატანი გრუნტისაგან წმენდა ჯამური სიგრძით 4400 მეტრი;
- საფეხმავლო და საავტომობილო ხიდების მოწყობა 15 ცალი;
- არსებული გალერეების გაწმენდა ნატანი გრუნტისაგან;
- სანაპიროზე ჩასასვლელი ხიდის მოწყობა;
- რკინაბეტონის გამოსასვლელ პორტალთან მარცხენა მიმმართველი რკინაბეტონის კედლის მოწყობა სიგრძით 48 მეტრი;

Digitally signed by Nina Karbelashvili

- მდინარე კინტრიშის შესართავთან საპროექტო ნაპირდამცავი კედლის მოწყობა სიგრძით 190 მეტრი.

3.4. შესყიდვის მიზანია პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილზე საექსპერტო შეფასების მომზადება. პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში განსაზღვრული წყლის მაქსიმალური ხარჯების ანგარიშების სისწორის დადგენა. მაქსიმალური საანგარიშო ხარჯების სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია ნაგებობების საპროექტო პარამეტრების დადგენის და საექსპლუატაციო ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

3.5. საკონსულტაციო მომსახურების ფარგლები საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის ჩატარების მეთოდს, შენიშვნებისა და დადებითი შეფასების დასაბუთებას. საბოლოო დასკვნა უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი.

3.6. საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილის სრული ექსპერტიზა, მათ შორის:

- მდინარე აჭყვას წყლის მაქსიმალური საანგარიშო ხარჯების გაანგარიშების მეთოდიკის შემოწმება;
- საწყისი საანგარიშო მონაცემების შემოწმება;
- სხვადასხვა უზრუნველყოფის (განმეორებადობის) წყლის ხარჯების გაანგარიშების შემოწმება;
- წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ხარჯების მნიშვნელობების გაკორექტირება.

4. მომსახურების მიწოდების ადგილი, პირობები და ვადები

4.1. შემსყიდველის მიერ პროექტის გადაცემიდან 1 კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობითი და ელექტრონული ფორმით შემსყიდველს წარუდგენს შუალედურ საექსპერტო დასკვნას (შენიშვნებს და წინადადებებს პროექტთან მიმართებაში).

4.2. შემსყიდველი გადაუგზავნის შენიშვნებს და წინადადებებს შესაბამის საპროექტო ორგანიზაციას და 4 დღის ვადაში მიაწვდის მიმწოდებელს შესაბამის პასუხსა და კორექტირებულ პროექტს.

4.3. კორექტირებული პროექტის მიღებიდან 3 დღის ვადაში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო კრებსით და ლოკალურ საექსპერტო დასკვნებს.

4.4. შუალედური და საბოლოო საექსპერტო დასკვნები შემსყიდველს წარედგინება მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 150, სართული 3.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

5.2. იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3 პუნქტით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღნიშნილი პირი ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას და მიმწოდებელს განუსაზღვრავს დამატებით ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე - IBAN GE27TB7160936080100002;

6.3. მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია);

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშფაქტურა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ;

6.5. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

Digitally signed by Nina Karbelashvili

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3. წერილობითი ფორმით, ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე დროულად გადასცეს მიმწოდებელს მომსახურების ყოველი ეტაპისათვის გათვალისწინებული ყველა საჭირო ინფორმაცია და მასალა და განუსაზღვროს მიმწოდებელს აღნიშნული ეტაპ(ებ)ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის გონივრული ვადა;

7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების შესრულების კონტროლი;

8.2.2. არ აითვისოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა სრულად;

8.2.3. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე ცალკეული პირობის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

Digitally signed by Nina Karbelashvili

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში რომელიმე მხარე აღმოჩნდება რაიმე ხელისშემშლელი გარემოების წინაშე, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, აღნიშნულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას შემსყიდველის წერილობითი, ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული შეტყობინების შემდეგ, კონკრეტული ეტაპ(ებ)ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს:

14.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.2. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

14.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულება ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის	შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ის
აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შენგელია	დირექტორი ნინა კარბელაშვილი
---	---

Digitally signed by Nina Karbelashvili